მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N8

29 აპრილი 2015 წელი

ქ. წალენჯიხა

**სხდომას თავმჯდომარეობდა:**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გონერ კვარაცხელია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: ასმათ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, დავით ზელქანია, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ბორის კვარაცხელია , ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, ლევან შელია, ცოტნე მესხია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარცხელია, ნონა კვარაცხელია, მარინა კალანდია.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები:გიორგი ლუკავა, თენგიზ ფიფია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომა დაიწყო:** 13:00სთ.
**სხდომა დასრულდა:** 15 : 40სთ.

სხდომის თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა დავით ზელქანიამ მოითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხზე განცხადებისთვის დროის დათმობა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე.
მომხსენებელი:გონერ კვარაცხელია–საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია–მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის პირველი კვარტლის (იანვარი, თებერვალი, მარტი) ანგარიშის შესახებ.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია–მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

4 .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: დავით სოსელია–მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი

5.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობის თაობაზე"

მომხსენებელი: ილია გულუა–საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

7. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი:ნანა კვარაცხელია–მუნიციპალიტეტის გამგეობისა იურიდიული განყოფილების უფროსი

8. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების პროექტების დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N122 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: მერაბ შონია–სამსახურის უფროსი

9.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური"–სათვის უსასყიდლოდ თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემაზეც თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დალი კვარაცხელია– საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

10. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობის თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N91 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

11.სხვადასხვა.

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 – მარინა კალანდია ) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N22) .

მოისმინეს: 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის პირველი კვარტლის (იანვარი, თებერვალი, მარტი) ანგარიშის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 – მარინა კალანდია ) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N23)

მოისმინეს: 4.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26

დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსმა დავით სოსელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 – მარინა კალანდია ) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N24)

**მოისმინეს: 5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება ( N23) .

**მოისმინეს: 6 .** „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობის თაობაზე"
საკითხი წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ილია გულუამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნ გ. კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N24) .

**მოისმინეს: 7 . „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსმა ნანა კვარაცხელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა ივერ კვარაცხელიამ გამოთქვა შენიშვნები მან ამ საკითხს აპარატის მიერ არაერთხელ ძალით თუ უნებლიეთ შემოპარული უწოდა.
კერძოდ , კომისიის სხდომაზე განხილული იყო ეს საკითხი სადაც შეტანილ იქნა ცვლილება. საკვალიფიკაციო მოთხოვნაში სიტყვა სასურველია უმაღლესი განათლება , შეიცვალოს სიტყვით როგორც წესი უმაღლესი განათლება.
აღნიშნულთან დაკავშირებით აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსმა მაია ციმინტიამ მისცა განმარტება, რომ სიტყვები სასურველია უმაღლესი განათლება ეს არის

საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ.გვერდის ტერმინოლოგია. რაც შეეხება პროექტის ცვლილებას, რეგლამენტის შესაბამისად, პროექტი წარმოდგენილი სახით შემოიტანა გამგეობამ, ხოლო თუ კომისიებს ჰქონდათ განსხვავებული მოსაზრება მასთან დაკავშირებით უნდა წარმოედგინათ დასკვნები, დაეყენებინათ საკრებულოს სხდომაზე შენიშვნები, რომლესაც ეყრებოდა კენჭი.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა შენიშვნის გათვალისწინებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 – მარინა კალანდია ) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N25)

**მოისმინეს: 8 . „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების პროექტების დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N122 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა მერაბ შონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N25).

**მოისმინეს: 9 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური"–სათვის უსასყიდლოდ თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემაზეც თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების კომისიის თავმჯდომარემ დალი კვარაცხელიამ

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N26) .

**მოისმინეს: 10 .** „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობის თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N91 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ გ.კვარაცხელიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება ( N27)

მოისმინეს: 11. სხვადასხვა

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ თავი ვალდებულად ჩათვალა როგორც ყოფილმა საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი მოსაზრება გამოეთქვა 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით . მან ისაუბრა იმ მიღწევებზე რაც ამ პერიოდში გაკეთებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობაში.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: გონერ კვარაცხელია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 აპრილი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N22

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის პირველი პუნქტის , საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 88–ე მუხლის შესაბამისად

1.დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, ქ.ქობალიას ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გონერ კვარაცხელია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 აპრილი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N23

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის (იანვარი, თებერვალი, მარტი) შესრულების ანგარიშის შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის პირველი პუნქტის , საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 85–ე მუხლის შესაბამისად

1. ცნობად იქნეს მიღებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის (იანვარი, თებერვალი, მარტი) შესრულების ანგარიში .
2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გონერ კვარაცხელია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 აპრილი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N24

**„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N115 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. /დანართი 9 ფურცლად/.
2. მუნიციპალიტეტის გამგეობამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ადგილობრივი შესყიდვების გეგმის წარდგენა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში“.
3. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიას.
4. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გონერ კვარაცხელია

"დამტკიცებულია"
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2015 წლის 29 აპრილის N24 განკარგულებით
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გ.კვარაცხელია
დანართი №1

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა

შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 242739248

შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება *წალენჯიხის მუნიციპალიტეტი*

დაფინანსების წყარო *ცენტრალური ბიუჯეტი*

სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად 2282509 ლარი

| № | დანაყოფის კოდი | დანაყოფის დასახელება | სავარაუდო ღირებულება | შესყიდვის საშუალება | შესყიდვის დაწყების სავარაუდო ვადა | შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ | 673000 | გამარტივებული შესყიდვა | IV კვარტალი 2014 წ | II კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №2033. 7.11. 2014 წ. გარდამავალი. |
| 2 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები | 67000 | გამარტივებული შესყიდვა | III კვარტალი 2014 წ. | I კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №34. 13.01. 2014 წ. გარდამავალი ხელშეკრულება |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 45233142 | გზის შეკეთების სამუშაოები | 101000 | ელექტრონული ტენდერი | II კვარტალი 2014 წ. | II კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №311. გარდამავალი ხელშეკრულება |
| 4 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ | 400000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი 2015 წ | III კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება №2551. 30.12.2014 წ. გარდამავალი. |
| 5 | 71320000 | საპროექტო საინჟინრო მომსახურება და საექსპერტო მომსახურება | 146070 | გამარტივებული ელ. ტენდერი | I კვარტალი 2015 წ | II კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 39. 2015 წლის 20 იანვარი |
| 6 | 71320000 | საპროექტო საინჟინრო მომსახურება და საექსპერტო მომსახურება | 25200 | გამარტივებული შესყიდვა | II კვარტალი 2015 წ | III კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |
| 7 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები | 870239 | გამარტივებული შესყიდვა | II კვარტალი 2015 წ | IV კვარტალი 2015 წ | საქართველოს მთავრობის განკარგულება № 506. 2015 წლის 12 მარტი |

" დამტკიცებულია"
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2015 წლის 29 აპრილის N24 განკარგულებით
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბ.კვარაცხელია
დანართი №1

2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტი

შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება *წალენჯიხის მუნიციპალიტეტი*

შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი *242739248*

დაფინანსების წყარო *ადგილობრივი ბიუჯეტი*

5 სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად 1036400-ლარი

| № | დანაყოფის კოდი | დანაყოფის დასახელება | სავარაუდო ღირებულება | შესყიდვის საშუალება | შესყიდვის დაწყების სავარაუდო ვადა | შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 30100000 | საკანცელარიო ნივთები | 9000 | გამარტივებული ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 2 | 30197630 | საბეჭდი ქაღალდი | 3000 | კონსოლიდირებული ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 3 | 64212000 | მობილური ტელეფონების მომსახურება | 17000 | კონსოლიდირებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 4 | 72400000 | ინტერნეტის მომსახურება | 18700 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 5 | 22200000 | საქ პრესის პერიოდული ჟურნალ-გაზეთები | 4800 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 39100000 | საოფისე ინვენტარი და ავეჯი | 11100 | გამარტივებული ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 7 | 55500000 | სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომსახურება | 137361 | გამარტივებული ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 8 | 79820000 | ბეჭდვასთან დაკავშირებული | 4800 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 16 | 30200000 | კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი | 10000 | კონსოლიდირებული ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 17 | 65100000 | მოხმარებული წყლის ღირებულება | 6200 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 18 | 65400000 | მოხმარებული ელ.ენერგიის ღირებულება | 142000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 19 | 79700000 | ადმინისტრაციული შენობის დაცვა | 55320 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 20 | 50100000 | სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და მომსახურება | 12380 | გამარტივებული ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 21 | 50100000 | მანქანის რეცხვა | 4800 | გამარტივებული ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | 50100000 | სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების | 13000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 23 | 92512000 | არქივის მომსახურება | 10000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 24 | 60170000 | სამგზავრო ტრანსპორტის დაქირავება მძღოლთან ერთად | 13800 | გამარტივებული ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 25 | 09100000 | საწვავი | 115000 | კონსოლიდირებული ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 26 | 79200000 | აუდიტი შეფასება | 4900 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 27 | 50312000 | კომპიუტერული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და [illegible] | 4900 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 28 | 71631300 | შენობის ტექნიკური დათვალიერება | 4100 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 29 | 55300000 | რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება | 3000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 30 | 16700000 | ტრაქტორი | 20000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 31 | 71200000 | საკადასტრო აზომვითი ნახაზები | 4900 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 32 | 22458000 | შეკვეთით ნაბეჭდი მასალა | 4900 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 33 | 35800000 | ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები | 2700 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 34 | 48517000 | საიტების მომსახურება | 4500 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 35 | 42512200 | კედლის კონდიციონერები | 3000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 36 | 72200000 | ფინანსური ანალიზისა და ბუღალტერიის პროგრამული პაკეტები | 3000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 37 | 39294100 | საინფორმაციო და სარეკლამო პროდუქცია | 3600 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 38 | 45200000 | სამშენებლო სამუშაოები | 225000 | ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 39 | 71300000 | საპროექტო | 5000 | გამარტივებული ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 40 | 15893100 | შერეული საკვები პროდუქტები | 4800 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 41 | 39700000 | საოჯახო ტექნიკა | 1000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 42 | 34351100 | მსუბუქი ავტომანქანის საბურავი | 2600 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 43 | 31120000 | გენერატორი | 4000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 44 | 31400000 | აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები | 2000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 46 | 16100000 | სოფლის მეურნეობის | 11950 | გამარტივებული ელ.ტენდერი | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 47 | 1840000 | სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები | 3000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 48 | 7960000 | პერსონალის დაქირავებასთან დაკავშირებული მომსახურებები | 5000 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 49 | 38300000 | საზომი ხელსაწყოები | 2100 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | I კვარტალი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 50 | 79412000 | ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკონსულტაციო | 4800 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | IV კვარტალი | |
| 51 | 33111000 | რენტგენის აპარატურა | 4500 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | III კვარტალი | |
| 52 | 55500000 | სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომსახურება | 12639 | გამარტივებული შესყიდვა | I კვარტალი | II კვარტალი | გადაუდებელი აუცილებლობა |
| 53 | 50100000 | სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და მომსახურება | 3000 | გამარტივებული შესყიდვა | II კვარტალი | IV კვარტალი | საქართველოს მთ. 2011 წ. 21,01, №26 დადგენილება. |
| 54 | 45261210 | სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის გადახურვა | 40000 | გამარტივებული შესყიდვა | II კვარტალი | II კვარტალი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 |
| 55 | 16400000 | შესაწამლი მანქანები სოფლის მეურნეობის და მებაღჩეობისათვის | 4900 | გამარტივებული შესყიდვა | II კვარტალი | II კვარტალი | |
| 56 | 44423400 | ფირნიშები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები | 2050 | გამარტივებული შესყიდვა | II კვარტალი | III კვარტალი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 57 | 80530000 | მომსახურებები პროფესიული მომზადების სფეროში | 2920 | გამარტივებული შესყიდვა | II კვარტალი | II კვარტალი | |

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23

2015 წლის 29 აპრილი

ქ. წალენჯიხა

**„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში (www.matcne.gov.ge, 30/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.104.016160) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 16. საკრებულოს წევრის უფლებამოსილებასთან განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება**

საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, თავისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება აუნაზღაურდეს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული წესით."

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 მაისიდან.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გონერ კვარაცხელია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24

2015 წლის 29 აპრილი

ქ. წალენჯიხა

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 41-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და ოდენობა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 მაისიდან.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გონერ კვარაცხელია

დანართი

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და ოდენობა

**მუხლი 1. მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ასანაზღაურებელი ხარჯები**

საკრებულოს წევრებს მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით აუნაზღაურდებათ შემდეგი საქმიანობისთვის გაწეული ხარჯები:

ა) საკრებულოს სხდომებისა და საკრებულოს კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;

ბ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 47-ე მუხლით გათვალისწინებული ამომრჩევლებთან ურთიერთობა;

გ) საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა;

დ) საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულება.

**მუხლი 2. ასანაზღაურებელი ხარჯების ზღვრული ოდენობა**

საკრებულოს წევრების მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა (ზღვრული ოდენობა) შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

**მუხლი 3. ხარჯების ანაზღაურება**

1. ამ დანართის პირველ მუხლში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაწეული ხარჯების შესახებ საკრებულოს თითოეული წევრი (გარდა თანამდებობის პირებისა), ყოველი თვის 15 რიცხვამდე საკრებულოს აპარატის უფროსს წარუდგენს წერილობით ინფორმაციას. ამ ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, საკრებულოს აპარატის უფროსი ერთიან მოხსენებით ბარათს წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს.

2. საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გამოსცემს ბრძანებას საკრებულოს თითოეული წევრისათვის (გარდა თანამდებობის პირებისა) ამ დანართის პირველ მუხლში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებისა და ოდენობის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია შეუმციროს საკრებულოს კონკრეტულ წევრს ამ დანართის მე-2 მუხლით დადგენილი თანხის ზღვრული ოდენობა საკრებულოს, საკრებულოს კომისიის და დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებში მისი ფაქტობრივი დასწრების გათვალისწინებით, თითოეული გაცდენილი სხდომისათვის 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

**მუხლი 4. ასანაზღაურებელი ხარჯების დარიცხვა**

საკრებულოს წევრებისათვის (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების დარიცხვა განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმების შესაბამისად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2015 წლის 29 აპრილი

ქ. წალენჯიხა

**„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №54 დადგენილებაში (www.macne.gov.ge 07/11/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010340000.35104.016200) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართი #2 დაემატოს 29[1], 29[2], 47[1] და 69[1] მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 29[1]**. შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი

შიდა აუდიტის სამსახურის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების 26-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

**მუხლი 29[2]**. შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი

შიდა კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტს გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების 26-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

**მუხლი 47[1]**. ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებში

ზედამხედველობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებში, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების 45-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხებისა მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

**მუხლი 69[1]**. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტს ადმინისტრაციულ ერთეულში გარდა ამ დანართის პირველი მუხლით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა დამატებით მოეთხოვება:

ა) როგორც წესი, უმაღლესი განათლება;

ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე                                        გონერ კვარაცხელია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 აპრილი 2015 წელი

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N 25

**„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N122 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

“საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის N122 განკარგულებაში შეტანილიქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) „გარკვეული სოციალური ჯგუფების საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულად ან მატერიალური დახმარების პროგრამაში მე–4 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სოციალური ჯგუფების შერჩევა ღირსშესანიშნავი დღის გათვალისწინებით და თითოეულ ბენეფიციარზე გასაცემი თანხების ოდენობა, ან მატერიალური დახმარების ჩამონათვალი განისაზღვრება „სოციალური კომისიის“ მიერ მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით.

ბ) „ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამის“ მუხლი „პროგრამის განხორციელების პირობები“–ს მუხლის პირველი და მეორე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

დადგენილი ყოველთვიური ლიმიტის გათვალისწინებით ამ პროგრამისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგეობის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ბენეფიციარებისთვის ფულადი დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური დახმარების გაცემის მიზნით შექმნილი კომისია (შემდგომში–სოციალური კომისია).

სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევების დროს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

გ) „ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამის“ მუხლი „პროგრამის განხორციელების პირობები“–ს მუხლიდან ამოღებულიქნას მე-2 პუნქტი. (იშვიათი გამონაკლისის გარდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 001–ზე დაბალი სარეიტინგო ქულით ყოფნა.“)

დ) „ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის თანადაფინანსების პროგრამაში“ მუხლი „პროგრამის აღწერილობის“ პირველი აბზაცის წინადადება „პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია 20 ბენეფიციარზე“ შეიცვალოს წინადადებით „პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია 25 ბენეფიციარზე“

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გონერ კვარაცხელია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა | 29 აპრილი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N 26

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო (თხოვების ფორმით) სარგებლობაში გაცემაზე მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობის გაცემის შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაეცეს ა(ა)იპ „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს“ უსასყიდლო სარგებლობაში (თხოვების ფორმით), მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება-ნაგავმზიდი მანქანა „მერსედესბენცი – 614 D (ვარიო)“.
2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გონერ კვარაცხელია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 29 აპრილი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N27

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობის თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N91 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად,

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობის თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N91 განკარგულება.
2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. რობაქიძის ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გონერ კვარაცხელია